



## ინტერნეტბანკი ინსტრუქცია

---

ვითიბი ბანკის ახალი ინტერნეტბანკი საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მართოთ საკუთარი ანგარიშები, მიიღოთ ინფორმაცია ანგარიშებზე არსებულ ნაშთებსა და განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ, შეასრულოთ გადარიცხვები, გადაიხადოთ კომუნალური და სხვა მომსახურების საფასური, მიიღოთ ინფორმაცია სესხებსა და დეპოზიტებზე.

სიახლე მათთვის, ვისაც სურს გახდეს ვითიბი ბანკის მომხმარებელი და ამავდროულად დარეგისტრირდეს დისტანციურ არხებზე, **ინტერნეტბანკი, მობაილბანკი, ვიდეობანკი:**

ახლა უკვე შესაძლებელია, ინტერნეტბანკის გვერდიდან <https://beta.vtb.ge> გახსნათ ანგარიში ბანკში მიუსვლელად. ინტერნეტბანკზე დარეგისტრირებისთანავე კი, მინიჭებული მომხმარებლის სახელით და პაროლით, თქვენ ავტომატურად გაგიაქტიურდებათ წვდომა ვითიბი ბანკის დისტანციური მომსახურების არხებზე.

ახალი ინტერნეტბანკის საშუალებით თქვენ შეძლებთ:

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენს საბანკო ანგარიშების, ჯამურ აქტივებსა და ვალდებულებების შესახებ;
- შეამოწმოთ ხელმისაწვდომი ნაშთი ჯამურად და ცალკეული პროდუქტების ჭრილში;
- შეავსოთ დეპოზიტი ან ნახოთ დეტალური ინფორმაცია კრედიტის შესახებ;
- გადარიცხოთ თანხა ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში;
- შექმნათ გადარიცხვის შაბლონები;
- გადაიხადოთ კომუნალური ან სხვა გადასახადები და დააჯგუფოთ თემატურად;
- შეავსოთ მობილურის სასაუბრო ბალანსი, მხოლოდ ნომრის მითითებით და პროვადერის არჩევის გარეშე;
- დააკონვერტიროთ თანხა შეღავათიანი კურსით;
- ნახოთ ტრანზაქციის დეტალები;
- ნახოთ დარიცხული და ხელმისაწვდომი ბონუს თანხები;
- მიიღოთ გაფილტრული ამონაწერი და ჩამოტვირთოთ PDF, XLSX, XML ფორმატში;
- შეცვალოთ ბარათის ვალუტის პრიორიტეტი და დაბლოკოთ/განბლოკოთ ბარათი;
- დაბეჭდოთ ანგარიშის რეკვიზიტები;
- შეცვალოთ ანგარიშის დასახელება, თქვენთვის სასურველით;
- შეცვალოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი;

## ინტერნეტბანკით სარგებლობა გამარტივდა:

პირველად საჭიროა გაიაროთ „რეგისტრაცია“.

დასარეგისტრირებლად დაგჭირდებათ:


- პირადი ან დოკუმენტის ნომერი
- მობილური ტელეფონის ნომერი
- ვითიბი ბანკის აქტიური პლასტიკური ბარათი ან ელ. ფოსტა



თუ ჯერ კიდევ არ ხართ ვითიბი ბანკის კლიენტი, გაიარეთ ონლაინ რეგისტრაცია.

ინტერნეტბანკის გვერდზე დააჭირეთ ღილაკს >>  
ან

ეწვიეთ „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უახლოეს ფილიალს.



## პაროლის აღდგენა

პაროლის დავიწყების შემთხვევაში, პარამეტრების აღდგენა შესაძლებელია რეგისტრაციის მსგავსად, დისტანციურად. ინტერნეტბანკის გვერდიდან: <https://beta.vtb.ge> დააჭირეთ ღილაკს „დაგავიწყდათ პაროლი“ და მიჰყევით ინსტრუქციას.

ასევე შესაძლებელია:

- დარეკვა ქოლ ცენტრში: +995 32 2242424
- ბანკის ნებისმიერ ფილიალში ვიზიტი

## მთავარი გვერდი

ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მოხვდებით ინტერნეტბანკის მთავარ გვერდზე, სადაც ნახავთ ყველა საჭირო ინფორმაციას:

- ჯამურ ხელმისაწვდომ ნაშთებს;
- ნაშთებს ცალკეული პროდუქტების ჭრილში;
- პოპულარული გადახდების შაბლონებს;
- უახლეს ტრანზაქციებს;
- ძირითადი ვალუტის კურსებს;

ამავე გვერდის ქვედა პანელში მოცემულია კატეგორიები „პროდუქტები“, „გადახდები“, „ტრანზაქციები“ და მათი ქვეკატეგორიები.

## პროდუქტები

თითოეული ქვეკატეგორიის ჭრილში თქვენ შეგიძლიათ:

### ანგარიშები

- ნახოთ ანგარიშზე მიზმული ბარათების რაოდენობა;
- შეამოწმოთ ხელმისაწვდომი ნაშთები და ექვივალენტური ნაშთი უცხოურ ვალუტაში;
- პარამეტრების პანელიდან დამალოთ ან გამოაჩინოთ თქვენი ანგარიშები;
- შეცვალოთ ბარათის ვალუტის პრიორიტეტები;

### ბარათები

- შეცვალოთ, ბარათების რიგითობის განლაგება თქვენი სურვილისამებრ;
- გადაარქვათ ბარათს სახელი ;
- აკონტროლოთ ბარათის ვადა;
- ნახოთ განაღდების და შესყიდვის დღიური ლიმიტი;
- შეამოწმოთ და შეცვალოთ ბარათის აქტიური/არააქტიური სტატუსი;
- ნახოთ დაბლოკილი თანხები ;

## სესხები

- ნახოთ სესხის საწყისი თანხა და დარჩენილი ძირი;
- შეამოწმეთ მომდევნო გადახდის თარიღი და თანხა;
- ნახოთ სესხის პროცენტი, გადახდის გრაფიკი და ისტორია;
- ნახოთ საწყისი და დასრულების თარიღი;
- აკონტროლოთ დარჩენილი ვადა;

## დეპოზიტები

- ნახოთ ანაზრის საწყისი და მიმდინარე ბალანსი;
- შეამოწმეთ დარიცხული და მისაღები სარგებელი;
- ნახოთ საწყისი და დასრულების თარიღი;
- შეამოწმეთ გადახდის პერიოდულობა;

## გადახდები

- გადარიცხეთ თანხა საკუთარ, სხვა პირის ან ორგანიზაციის ანგარიშსა და ბიუჯეტში;
- დააკონვერტიროთ თანხა და ახლა უკვე შეღავათიანი კურსით;
- შეავსოთ მობილურის ბალანსი;
- შექმნათ კომუნალურის ჯგუფები და მარტივად დაფაროთ გადასახდელები;
- შეიძინოთ ავტომანქანის პარკირების საშვი და გადაიხადოთ ჯარიმები;

## ტრანზაქციები

- მიიღოთ ამონაწერი;
- ნახოთ მიმდინარე გადახდები;
- შეამოწმეთ ბარათის ბლოკები;

## უსაფრთხოება

თქვენი ანგარიშების უსაფრთხოების მიზნით, ინტერნეტბანკში შესვლამდე დარწმუნდით, რომ იმყოფებით შემდეგ ინტერნეტ გვერდზე: <https://beta.vtb.ge> აღნიშნულის გადამოწმება შეგიძლიათ ვებ- ბრაუზერზე არსებულ ან გვერდის ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულ ბოქლომის ნიშანზე დაჭერით, სადაც იღებთ ინფორმაციას უსაფრთხოების სერთიფიკატების შესახებ;

არ დატოვოთ კომპიუტერი/მოწყობილობა კონტროლის გარეშე, თუ თქვენ ავტორიზებული ხართ ინტერნეტბანკში, არ გაანდოთ თქვენი მომხმარებლის სახელი და პაროლი სხვა პირებს;  
არ შეინახოთ კონფიდენციალური ინფორმაცია (მომხმარებლის სახელი, პაროლი, ავტორიზაციის კოდი) კომპიუტერში, ინტერნეტში ან მობილურ ტელეფონში პაროლით დაუცველ ფაილებში;

არ გაგზავნოთ კონფიდენციალური ინფორმაცია ელ. ფოსტით. ბანკი არასდროს მოგთხოვთ მსგავსი ინფორმაციის სრულად გაგზავნას ელ. ფოსტით. თუ თქვენ მიიღებთ მსგავსი მოთხოვნის შემცველ წერილს, დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდით საკონტაქტო ნომერზე +995 32 224 24 24, გვაცნობეთ აღნიშნულის შესახებ და წაშალეთ წერილი;

ინტერნეტბანკში მუშაობის დასრულების შემდგომ, უსაფრთხოების მიზნით, გთხოვთ, აუცილებლად ისარგებლოთ ღილაკით "გამოსვლა";

ამასთან, გაცნობებთ, რომ ინტერნეტბანკში 10 წუთის განმავლობაში უმოქმედობის შემთხვევაში, სესია ამოიწურება.

